№ 176, აგვისტოს 17, შაბათი. 1866—1885 აგვისტოს 17, შაბათი. № 176.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს დახაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კვრ დაუბრუნებს აგტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ვსთხოვ მშობელთ და მზრუნველთ მოსწავლეთა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა, რომ მომავალის ენკენისთვის (სექტემბრის) ათის რიცხვიდგან დაწყებული მწიფობისთვის (ოქტომბრის) ათამდის უსათუოდ ინებონ მობძანება, რომელ დღესაც მოსახერხებელი იქნება მათთვის, გარდა კვირა დღისა, სათავად-აზნაურო სასწავლებელში, ორ-პირის ქუჩაზე, თავად ლორთქიფანიძეების სახლებში, მოსალაპარაკებლად მათის ყმაწვილებისათვის ძღიერ საჭირო საქმეზე. ვინც აღნიშნულს რიცხვებში არ გამოცხადდება, დიდად დააბრკოლებს თავის ყმაწვილის სწავლას.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე.

(3—1)

თბილისი, აგვისტოს 17-ს.

დღეს უნდა მობძანდეს ჩვენს ქვეყანაში დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და რამდენიმე ხანი გაატარონ თავის მამულს ბორჯომში. დიდის სიამოვნებით ვეგებებით მობძანებას დიდის მთავრისას, რომელმაც ჩვენის ქვეყნის გამგებლობის დროს 18 წლის განმავლობაში ყველას გულში სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. რაც მეტი ხანი გადის, ჩვენი ხალხი თან-და-თან უფრო მეტად გრძნობს იმ გულმტკივნეულობასა და სიყვარულს, რაიც მან დასთესა ჩვენს მადლიერს ნიადაგზედ და ყოველ გვარი გარემოება ხელს უწყობს, რომ ეს თესლი უფრო აღორძინდეს, აყვავდეს და საამო ნაყოფი მოიტანოს. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ დიდის მთავრისა და ჩვენის ქვეყნის შორის სულიერს კავშირს გარდა, ნივთიერი კავშირიც არსებობს, რომელიც ჩვენს ხალხს შეაძლებინებს ხოლმე დრო გამოშვებით მაინც იხილოს სახე თავის საყვარელის და მარად-ნანეითმ-ოსაგონებელის პატრონისა.

შინაური ქრონიკა

ᲩᲕᲔᲜ გვატყობინებენ, რომ აგვისტოს პირველამდე წელს შაი ქვა, 1,500,000 ფუთამდე გამოუტანიათ მადნებიდამ და რადგან ყვირილამდე მიტანა ურმებით მეტად ძვირადა ჯდება, ამიტომ აქლემებით აპირობენ ზიდვასაო.

ᲠᲕᲐ-ᲪᲮᲠᲐ წელიწადი იქმნება მასუკან, რაც ჯიბრაილისა და ამის მახლობელი მაზრები (ბანჯის გუბერნიაში) დღე და-ღამ მოუსვენარ ყოფაში იყვნენ ავაზაკის თანგრიევრდის წყალობით. ბევრი ოჯახი აუტირებია ამ ავაზაკს თვისის ძმის ალაჰვერდისა და სხვა რამდენიმე თავზედ-ხელ-აღებულ ავაზაკების დახმარებით, მაგრამ ბოლოს ერგო რიგი მასაც:

აგვისტოს 13-ს თანგრიევრდი თავის ამქრით გამოვა ჯიბრაილის მაზრაში და საკმაო ნაცარაცვ-ნადაელით გაბრუნდება, მაგრამ ამათ გამოუდგებიან ჯიბრაილის მაზრის უფროსი ასანიძე რამდენიმე ყაზახებით და დისტანციის უფროსი აგაევი, მიამწყვდევენ ერთს ადგილს, მოჰკვლენ თვით თანგრიევრდის და დანარჩენებს ცოცხლად შეიპყრობენ.—ამ რიგად სრულდება ცხრა-ათი წლის ბატონობა თანგრიევრდისა, რომელმაც სიკვდილს შემდეგ დასტოვა, თუმცა პირ-და-პირი არა, მაგრამ მაინც თავის შესაფერი მემკვიდრე. ეს გახლავთ ქიარიმა, რომელიც თანგრიევრდიზე ბევრად მეტს საკვირველებას ჩადის. თუ გახსოვთ, ქიარიმამ დაბარა ერთს თავის შეპყრობილთაგანს: «წადით და გამოაცხადეთ, რომ თუ ამა და ამ დროამდის არ განთავისუფლებენ ჩემს ნათესავებს მგზავრებს დასახოცად აღარ დავინდობო.

ᲔᲮᲚᲐ, როგორც «ნოვ. ობზრ.» ამბობს, გამოუშვიათ ქიარიმას ნათესავები და იგინი ბანჯის მაზრის უფროსის თანაშემწეს აუყვანია თვის თავდებობის ქვეშე.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ 13, ღამით სოფ. ტაგის მამასახლისს (შუშის მაზრა) თავს-დასხმიან ავაზაკები და გაუტანიათ 10,000 მანათამდე.

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ დროს ჩვენი ქალაქის ბამგეობა ერთგულად შეუდგა ახალი საბაზრო ადგილების აღმოჩენას. ვერის ბაზარი, როგორც მოგეხსენებათ, ვერაფრად გამოდგა. ᲐᲮᲚᲐ მეორე საბაზრო ადგილად გამგეობას რიყე ამოურჩევია.

ᲐᲒᲔᲠ რამდენიმე თვე გადის, რაც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ფილოქსერის დასები გაემგზავრენ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხისაკენ ვაზის მომაკვდინებელი მწერის აღმოსაჩენად.—სოხუმში და ამის მახლობლად ახლად დაზიანებული ვენახები არ აღმოჩენილა; ამოუთხრიათ მხოლოდ ის ვაზები და დაუწვავთ, სადაც გასულს წელს აღმოჩნდა ეს მწერი.—მეორე, თბილისის დასს, გაუსინჯავს ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ მაზრის მემამულეთ ვენახები და ფილოქსერა არც ერთს მამულში არ აღმოჩენილა. მესამეს, თერგ-დაღისტნის ფილოქსერის დასს დაუთვალიერებია რამდენიმე ვენახი ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲨᲘ და ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ, მაგრამ ფილოქსერის კვალი არც აქ აღმოჩენილა.

ᲑᲘᲫᲕᲘᲜᲗᲘᲡ ტაძარი, რომელიც უმაღლესის ბრძანებით ᲐᲗᲝᲜᲘᲡ სვიმონ-კანონელის მონასტრის (აფხაზეთში) საკუთრებად შეიქმნა, ხელ-ახლად გაკეთდა და მომავალ ენკენისთვის 3 უნდა იკურთხოს საქართველოს ექსარხოსისამიერ. («ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ»).

ᲛᲐᲚᲐᲙᲜᲔᲑᲘᲡ სოფელში (თბილისის მახლობლად) გაჩენილა რაღაც საქონლის ავადმყოფობა, რომელსაც გასულის კვირის განმავლობაში 15 ძროხა უმსხვერპლია.

ᲕᲔᲠᲐᲖᲔ, ამ ერთი კვირის წინად, ერთს ღარიბ ოჯახში უცნაური ბავშვი დაბადებულა. ბავშეს ორი კარგად მოზდილი კბილი დაჰყოლია; ერთი ამ კბილთაგანი თურმე ენძრეოდა და მეორე-კი მაგარი ჰქონია. კბილები ბავშეს ძუძუს წოვას უშლიდენ და ვიდრე დალაქისთვის არ დაეძახნათ და კბილები არ ამოეღებინათ, ბავშვი კინაღამ სიმშილით მომკვდარიყო.

ᲛᲐᲠᲯᲘᲘᲡ მონასტრის წინამძღვარი მ. ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲘ გვწერს შემდეგს: «პატივ-ცემულ მკითხველ საზოგადოებას ეხსომება რომ, რაც მარჯიის მონასტერი გავერანდა, მას აქვთ ორას ოთხმოცი წელიწადია. მარჯიის გზა გამოავლის უწინდელ დროში მშვენივრად კამარით აშენებულ სამრეკლოს ქვეშე, რომლის გუმბათის ნანგრევნი მოჰსვლელს აქამდის გზას უშლიდენ. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ პირველს, როდესაც გზას სამრეკლოს ქვეშ ვასწორებინებდი, მარცხნის მხრით, სამრეკლოს კედელში, იატაკის ზემოთ, აღმოჩნდა ორი მიცვალებული, რომელთ ზემოთ სამი ვერშოკი მიწა ეყარა. ᲛᲘᲗᲘ ამათგანის სხეული სრულიად დაშლილი იყო და ძვლებიც დალრღნილი. მეორე კი განუხრწნელი იყო და ხელები გულზედ ჯვარედინად ყოფილ.

«საკვირველია! ᲐᲛᲓᲔᲜᲘ წლის განმავლობაში ზემოდამ აწვიმდა, ათოვლდა, ზედ არა ჰქონდა ქვა დაფარებული და არც გამოქვაბულში იდო, მაგრამ ასე კარგად კი შენახულა ეს გვამი.

«რაც ხელახლად აქ წირვა-ლოცვა დაწესდა, არის ᲝᲪᲓᲐ ᲬᲚᲘᲡ წელი. მე გამოკითხე ხალხს, მაგრამ არც მონასტერში და არც ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ მოხუცთა, არც გაგონებით და არც დასწრებით არ იციან მიცვალებულების ვინაობა.

«ᲛᲐᲠᲯᲘᲘᲡ მონასტერს ძლივს ეღირსა გზა და ხიდი. იმისთანა ალაგას, სადაც დღემდის ერთი ცხენი ძლივს გაიელიდა, დღეს გადაჩარდახებული ფურგუნი თავისუფლად გაივლის. ეს კეთილი საქმე არის შედეგი მთავარმმართებლისა მობძანების ᲛᲐᲠᲯᲘᲘᲡ, აგვისტოს 9-ს.»

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «ᲝᲠᲯᲔᲠ მობძანდა ბ. გუბერნატორი დაბა ცხინვალში და ორჯელვე დიდი ყურადღება მიაქცია აქ გამართულ ნორმალურს სკოლას, რომელიც არა სანატრელ მდგომარეობაშია ნივთიერის მხრივ. ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ შენობა სკოლისა, კარგა ძვირად ნაყიდი, იმყოფება მყრალ, უწმინდურ ურიების უბანში და დღე-დღეზედ ჩამოქცევას აპირობს. ᲑᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ურჩია ცხინვალელებს, რომ თუ თქვენი შვილების კარგად და ჯან-მრთელად აღზრდა გინდათ, სკოლაზედ მეტის ყურადღებით უნდა იყოთო: სკოლა ამ ალაგას და ამ შენობაში არ მოთავსდება, საჭიროა სხვა უფრო ფართო და ჰაერით წმინდა ალაგას გადატანაო; ამ მოკლე ხანშიე შეუდექით მაგ საქმესა და თუ თქვენ ვერ შეიძლეთ, ვიშუამდგომლებ, რომ მთავრობა შეგეწიოთ ფულის სესხითაო; ამავე საქმეზე ბ. მაზრის უფროსიც ბძანდებოდა აქ რამდენჯერმე, ბევრის ეცადა, ბევრს ეჩიჩინა ცხინვალელებს, მაგრამ საქმე საქმეზედ-კი მაინც ვერ მოდის და დღესაც სკოლაზედ ყურს არავინ იბერტყავს.»

ᲡᲛᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲛ

(უშგულის საზოგადოების დასეტყვა)

ᲓᲘᲚᲐ იელისის 20-სა ერთი იმ დილათაგანი იყო, როდესაც სვანეთის ბუნება ყოველს მის სიმშვენიერეს თვალ-წინ უშლის მაყურებელს. მოწმენდილ, ლაჟვარდს ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ იყო; ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖ მთანი, სპეტაკ თოვლით დატვირთულნი, მწვანე ხავერდით გადაფარებული საბალახო მთები, მწვანე ტყეები, ყვითლად და მწვანედ აჭრელებული ყანები, რომლის ყურებითაც ხალხი ვერა ძღებოდა, საამო და გრილი ჰავა, რომლის გათბობასაც ბრწყინვალე მზე ცდილობდა — ყველა ესენი ერთად და თვითოეული ცალკე საამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდენ კაცზე. ᲔᲒᲔᲗᲘ იყო—ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ—იელისის 20-ს დილა, რომლის მომყოლ საღამომ თავ-ზარი დასცა საბრალო უშგულელებს. საღამოს ექვსს საათზე უშგულის დასავლეთით მდეეებივით აიმართნენ ცაზე ტყვიის ფერი ღრუბლის სვეტები. ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘ თან და თან მატულობდა და შვიდ საათზე სრულიად გადაეფარა უშგულს.

სოფლად ჩამოვარდა სიბნელე, ცივი და არეულ-დარეული ქარი; რამდენიმე წამის შემდეგ «ცა გასკდა», როგორც სვანები იტყვიან ხოლმე და ისეთი სეტყვა დასცა უშგულის—ყანასათიბეებს, რომ სრულიად ამოაგდო ყოველ-გვარი ნამუშევარი! სეტყვის სიმსხო სწორედ მტრედის კვერცხის ოდენა იყო, გაგრძელდა იგი 25—30 წამს და ისე ბლომად ჩამოჰყარა, რომ მისი სისქე მიწაზე ორი გოჯი იყო და მეორე დღეს მზემ ძლივს მოასწრო საღამომდის გადნობა. უშგულში ჯერ არ იყო დაწყებული მკა-თიბვა. თიბვას იმ კვირაშივე აპირობდენ, მკა კი ნამარიობამდე არ დაიწყებოდა, რადგანაც ყანა ჯერ არ შემოსულიყო. სეტყვამ არა თუ თავთავები არ შეარჩინა ნამუშევარს, ღეროებიც ისრე გალეწა, რომ თითქო უშგულის ყანებზე კევრები უტარებია ვისმეო. მთელს უშგულის ყანებში ერთ კონა ნამუშევარს ვერ მოჰკრებს კაცი. ამ ნაირად უშგულს ეწვია დიდი და დიდი უბედურობა: უშგულს მოაკლდა არა თუ ერთი წლის სარჩო, არამედ რამოდენიმე წლისა; რამოდენიმესი—ვამბობ იმიტომ რომ უშგულს ისეთი მაღლობი ადგილი უჭირავს (7000 ფ.) რომ ჩვეულებრივი ქერი არც კი მოდის აქ. უშგულსა აქვს სხვა ნაირი ადგილის შესაფერი ქერი, ექვს-კუთხიანი და მხოლოდ ეს ქერი ხარობს უშგულში. ამ ნაირად უშგული მომავალი წლისთვის მოკლებულია ქერის თესლს უკანასკნელის უქონლობისა გამო და ქერი ხომ თავი და თავი სარჩოა უშგულელებისა. მართალია, ორს პატარა სვანეთის სოფელში სოფ. ხალდეს და ადიშს სთესენ უშგულურ ქერს, მაგრამ სად შეუძლია ამ ორ პატარა სოფელს რომელთაგანში პირველში 8 ღარიბი მეკომურია და მეორეში 13, რომ 67 კომლს უშგულელებს თესლი მიაწვდინონ!

სეტყვამ ნამუშავარს გარდა ძირიანად ამოაგდო თივაც,—ეს მეორე სახსარი ცხოვრებისა სვანეთში. უთივოდ 7—8 თვიან ზამთარში შეუძლებელი და მოუსაზრებელია უშგულელებმა პირუტყვი გამოჰკვებონ. რომ ნამდვილი სურათი შეადგინოს მკითხველმა ხსენებულს სეტყვაზე, იმასაც დავუმატებ, რომ გარეულნი მფრინველნი, რომელნიც სეტყვის დროს უშგულში მოხვდენ, ერთიანად დახოცა; სეტყვასთან ერთად ციდანცვიოდენ სხვა-და-სხვა ფრინველები. მეორე დღეს ივლისის 21 ყანებიდამ ბავშვებს კალთებით მოჰქონდათ კატლეტსავით დაქენქლილი: მწყერები, ლალღები და სხვანი. საზარელ მდგომარეობაში ჩავარდა უშგული და არ იცის კაცმა,—რა ეშველებათ. უშგულში ამ ჟამად 540 სულზე მეტი ირიცხება; რითი ირჩინოს თავი ამდენმა კაცმა და ან რაც უფრო სამძიმოა—საიდგან იშოვნოს მომავალისათვის თესლი? რომელიმე საქართველოს კუთხეში რომ ერთი და ორი საზოგადოება დასეტყვოს, მეორე კუთხე მიაწვდენს სარჩო-თესლს, რასაკვირველია, ფასით; სულ სხვა არის უშგულელების საქმე: უშგულს სვანეთი ვერ მისცემს სარჩოს ამიტომ, რომ ეს 5-6 წელიწადია, რაც საზოგადოდ სვანეთში თანდა-თან ნაკლები მოსავალი მოდის და ამიტომაც წრევანდელი ნამუშავარი თვითონ თუ ეყოთ დანარჩენ საზოგადოებათა, ისიც დიდი ღვთის-წყალობა იქნება. ამ ნაირად უშგულელებმა უნდა მოიტანონ 540 სულის სარჩო რაჭა-ლეჩხუმიდამ, საიდგანაც საპალნიანი ცხენი უნდება მისვლა-მოსვლას 5-6 დღე. თვითო ცხენს მოაქვს რაჭა-ლეჩხუმიდამ 6-8 ფუთამდე ნამუშავარი. სულზე რომ 24 ფუთი ნამუშავარი ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ 540 უშგულელს მოუნდება წელიწადში 12.960 ფუთი ნამუშევარი, რაიცა რაჭა-ლეჩხუმიდამ უნდა მოზიდონ. ამას გარდა საჭიროა კიდევ თესლი მომავალისათვის! ზემოდ ნაჩვენებ 12.960 ფუთის მოსატანად ერთბაშად საჭიროა 1620 სასაპალნე ცხენი; ეს 1620 რომ 67 კომლზე გავყოთ, გამოჩნდება, რომ თითო მეკომურს ეჭირება 24 ცხენი, როდესაც რომ მთელს საზოგადოებაში ირიცხება მხოლოდ 43 (ორმოც-და-სამი) ცხენი. თითო ცხენის საპალნე ე. ი. 8 ფუთი სიმინდი მოტანით, კაცსა და საგზალს გარდა, სულ რომ მცირე ვსთქვათ, უჯდება უშგულელს ლეჩხუმში 10 მანათი; მაშასადამე 12.960 სიმინდი ფუთი უშგულში მიტანილი საზოგადოებას დაუჯდება ცამეტ ათას მანათზე მეტი; ცამეტი ათასი (13.000) მანათი რომ მეკომურთ რიცხვზე გავყოთ, გამოვა, რომ თითო კომლს (67) შეხვდება ორას-ორასი (200) მანათი ექვს მანათ ნაკლებ. სად იშოვნის უშგულელი ორას მანათს? რაც რამე იშოვნა, სულ გაყიდა და იყიდა ნამუშავარი ივლისის 20-მდე, რადგანაც შარშან უნდილმა წაუხდინა ნამუშავარი (იხილე ჩემი წერილი 1884 წ. № 198 «დროება»). ივნისის 24-დგან ივლისის 20-მდე უშგულში შემოიტანეს 93 საპალნე სიმინდი ლეჩხუმიდამ შარშანდელი უნდილის წყალობით. მართალია, უშგულელებს პირუტყვი ჰყავთ, მაგრამ სად გაყიდონ? ივლისის 20-დამ 25-დე 86 ხარი და ძროხა გარეკეს გასასყიდად რაჭა-ლეჩხუმში. ნამდვილად ვიცი, რომ მთელს რაჭის მაზრაში მარტო ორი ძროხა გაიყიდა და ისიც ნახევარ ფასად, დანარჩენი საქონელი ისევ უშგულში მიაბრუნეს. ყველა ზემოდ ნაჩვენებ დაბრკოლებას უშგულელებისათვის ემატება კიდევ ორი: საძაგელი გზები და საცხენო გზის შეკვრა უმეტეს ნაწილად ოქტომბრის 1-დგან. ყველა ამ საშინელებას ნათლად იდგენდენ უშგულელები და ეს იყო მიზეზი, რომ ივლისის 20 ყოველს ოჯახში ვაება და ტირილი იყო, გეგონებოდათ ეგვიპტელებსავით ყველას თითო პირმშო მოჰკდომიაო. უშგულელები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდენ, მათ ეჭირვებათ საგრძნობიარო და უხვი შემწეობა, რომლის აღმოჩენაც მხოლოდ მთავრობას შეუძლია; მთავრობის შემწეობაში ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, მით უფრო, რომ ბ. ქუთაისის გუბერნატორი ამ ჟამად სვანეთშია და თავის თვალით ნახავს უშგულის გაოხრებულ ყანებს.

თავისუფალი სვანი.

ივლისის 25.

წერილი რედაქტორთან

—

ბ. რედაქტორო! თუმც გერიდებით, მაგრამ გვესმის, რომ ჩვენისთანა გაჭირვებულს კაცს ქრისტიანობრივის მოვალეობისამებრ შეიწყნარებთ და გთხოვთ მიხედოთ თქვენს ღმერთს და თქვენს პატივცემულს გაზეთში ჩვენი ამ დროებით გაჭირვებული მდგომარეობა ჩაგვიბეჭდოთ.

ჩვენ გახლავართ ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის ნოსირის სოფელში მცხოვრებნი გლეხნი ოცდაათ კომლამდე; ვსცხოვრებთ წინაპართა უხსოვარის დროიდამ ამ სოფელში დასავლეთის ქვედა მხარეში, ერთს კუთხეზედ, სადაცა გვივლის ჩრდილოეთით მდინარე ტეხური. ამ მდინარემ დიდს წვიმიანობაში, უფრო ზაფხულში, ისეთი მომატება იცის, რომ ნოსირის სოფელს ზედ გადუვლის და, რასაკვირველია, საზოგადოდ ზარალს გვაძლევს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, უბედურება ის არის რომ სადაც მთავრი წყალი მიდიოდა, ის დასტოვა, გარდმოგლიჯა და ჩვენ დაგვიახლოვდა. ეხლა ათ-საჟენზედ-ღაა, ყოველ-დღე არღვევს და იწევა ჩვენკენ, ისე რომ თუ მალე საშუალება რამე არ მოგვეწია, აგვყრის; მაგრამ სად უნდა წავიდეთ, რომ არსად ადგილი არა გვაქვს, გარდავესახლოთ; წარსულს ივნისში გადმოვარდა და ძლივს გადავრჩით, ეხლა ამ აგვისტოს ორს გადმოსკდა წყალი და ჩვენს სახლებში ნახევარ საჟენ სიმაღლეზედ წყალი იდგა. ღმერთმა დაგვიფარა, რომ დღე იყო, თორემ ღამე რომ ყოფილიყო, ადამიანსაც ბევრს იმსხვერპლებდა, ასე გვეგონა წარღვნა მოგვევლინაო. უშედური პირუტყვების ბლავილი ზეცასაც აწუხებდა, წვრილი პირუტყვების დაღრჩობას ვიღა ჩივის. წლიური სარჩო ყანები გარშემო გვაქვს და ისიც გაგვიფუჭდა, ამისთანა უბედურებაში ვართ ჩაცვინული. ამისი შველა და მწუხარებისაგან ჩვენი გამოხსნა ადვილია, მაგრამ ჩვენ ღარიბ-ღატაკთა იმდენი საშუალობა არა გვაქვს და სხვა ვინ მოგვხედავს! ჩვენი გაჭირვება ალბად მაზრის უფროსთან არ არის მიწევნილი, თორებ, რასაკვირველია, ყურადღებას მოაქცევდა.

ამ უბედურებისაგან ჩვენს გამოხსნას უნდა მხოლოდ განკარგულება, რომ ეს წყალი ისევ თავის ადგილზედ გადუშვან, მაგრამ ამას თავი უნდა და წინამძღოლობა და ეს ჩვენში არ იპოება,—იმედი გვაქვს თქვენის გაზეთის შუამავლობით ვინმე მადლიანმა მიხედოს ღმერთს, და ჩვენზედ ყურადღება მოაქციოს და ამ უბედურებისაგან გამოგვიხსნას.

აქ მცხოვრებნი: გვარად ბოხუები, ბეგენავები, ჟაჩიბაიები, [illegible], თხელიები და სხვანი.

უცხოეთი

◆◆ მშვიდობიანობის დროს ქვეყანა იშვიათად მიაქცევს ხოლმე ყურადღებას რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალას. მაგრამ როგორც-კი «ჰორიზონტზე შავი ღრუბელნი აღმოჩნდებიან», ქვეყანა მოუთმენლად ჰკითხულობს—ნეტავი რა ძლიერების პატრონია ესა და ეს სახელმწიფო, რა ძალას წამოაყენებს მტრის წინააღმდეგ, თუ ომი ასტყდა და სხვ. და სხვ. გაზეთები მიხვდებიან ამ ნატვრას ქვეყნისას და უკვლენ მას ცნობის მოყვარეობას. ავიღოთ თუნდა ჩინეთი და იაპონია. ამ უკანასკნელ დრომდე, სანამ ხმა არ გავრცელებულიყო ჩინეთ-ინგლისის კავშირზე, ჩინეთ-იაპონიის სამხედროძლიერებას არც არავინ ახსენებდა. მაგრამ რაკი ეს ხმები დღე-დღეზედ იმეორება გაზეთებში, ჩინეთის და იაპონიის სამხედრო ძალებსაც მიაპყრეს ყურადღება. მუდმივი ჯარი ჩინეთისა ერთი მილიონი მეომარისაგან შესდგებაო; არა მუდმივი ჯარი, განსაკუთრებით ცხენოსანი, შესდგება მონგოლებისაგან—300,000 მხედარი და ჩინეთის ქვეშევრდომ სხვა ხალხებისაგანაცაო. ომის დროს ჩინეთში მოხდება ხოლმე საერო გაწვრა და ეს რიცხვი ჯარისა კიდევ შესამჩნევად გადიდდებაო. ომის დროსვე იაპონიას შეუძლიან გამოიყვანოს 50230 მეომარი. ზღვის ძალა ჩინეთისა და იაპონიისა ერთობ სუსტი და მცირეაო.

◆◆ ამ თვის 3-დამ მანსეში, გენერალ შანზის სამშობლო ქალაქში, განუწყვეტელი მხიარულება სუფევს შანზისა და 2 ლუარის არმიის ძეგლის აგების გამო. აგვისტოს 4-ს გახსნეს ძეგლი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა გენ. კამპენონმა. ორატორმა მოიგონა ის დრო, როცა მტერი შემოესია საფრანგეთს და გენ. შანზი იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ბოლომდის არ დაჰკარგესო იმედი, რწმენა ბედის მობრუნებისა. «ეს რწმენა,—სთქვა მინისტრმა,—ჩანერგა მან თვის ახალგაზდა არმიას, რომლის რაზმში სულ სხვა-და-სხვა აზრის კაცნი შეერთდენ, როგორც ერთის გრძნობისანი, ერთის სურვილისანი, რომ მტრისათვის გზა გადაეღობათ. საფრანგეთის ჯარი შეადგენს ერთეულს, რომლის ყოველი ნაწილი მამულის სიყვარულით აღჭურვილია. თუმცა დიდი ხანი გავიდა მწარე დროთ შემდეგ, მაგრამ რესპუბლიკის მმართებლობა ვერ დაივიწყებს მათ. საშიშარს დროს ჩვენს ქვეყანას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ყოველი შვილი მისი მას მფარველად აღმოუჩნდება.» შემდეგ ილაპარაკა ადმირალმა ჟორიგიბერიმ, რომელმაც ამ სიტყვებით დაასრულა: «ჩვენს ჯარებს მუდამ ახსოვდა,—ჩვე-

ნის პოლიტიკური ცხოვრების თვით უუგაჭირვებულესს დროსაც-კი, რომ საფრანგეთის დროშის ქვეშე დასებად გაყოფას ალაგი არა აქვს, რომ ყოველი გული უნდა შეერთებულიყო ნაციონალურ ღირსების, დიდების დაცვისათვის. მეორე ლუარის არმიამ და გენ. შანზიმ არ უღალატეს ამ ვალს. დიდი ლუარის არმია შესდგებოდა სულ სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მიდრეკილებათა მქონე პირთაგან, მაგრამ ყოველი ანგარიში უკუ-აგდეს მათ, რაკი ხედავდენ საფრანგეთის გაჭირვებულს მდგომარეობას. ყველა ერთს აზრს აღეფრთოვანა: იბრძოლონ სანამ ძალა შერჩენიათ, რომ მტრისაგან იხსნან სამშობლო. შანზი რომ ჩვენთან იყოს დღეს, დაგვეთანხმებოდა და გვეტყოდა: «ბვიყვარდეს სულითა და გულით საერთო სამშობლო ჩვენი — საფრანგეთი. ვიცოცხლოთ, მოვკვდეთ მისთვის და თუმცა აუარებელი წყლულნი ჩვენის მამულისა ჯერ არ დაშერეტილან — მომავალი გვაიმედებდეს, რადგან დიდება საფრანგეთისა არ შებღალულა და უფალი მფარველობს მას.»...

◆◆ «საფრანგეთი მზად არის!» — ეს დასკვნა გამოჰყავს «La France militaire»-ს გენერალ დიუმონის-მიერ წარმოთქმულის სიტყვიდამ, როდესაც ეს გენერალი ურიგებდა საჩუქრებს რუანის ლიცეაში. ბენერალმა ღირსეულად დააფასა ის წერილები, რომლითაც ზოგიერთნი სცდილობენ დაამტკიცონ, რომ საფრანგეთს ვერ შეუძლიან თავის დაცვა, ვერ შეუძლიან თვისი სამხედრო ძალის აღორძინება. «ნუ უჯერებთ ამ წერილებს! საფრანგეთს, თუ მართალი გნებავთ, არასოდეს არ ჰყოლია ისეთი ძლიერი ჯარი, როგორც დღესა ჰყავს. ჩვენი ლაშქარი არაფრით არ ჩამორჩება უძლიერესის ევროპის სახელმწიფოს ლაშქარს; ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ მილიონ ნახევრიდამ მილიონ რვაას ათასამდე დახელოვნებული, გამოცდილი მეომარი. რიგი არ არის, რომ ქებით შევამკო ის ჯარი, რომელსაც მე ვეკუთვნი, მაგრამ უფლება კი მაქვს მიეუთითო იმ შემთხვევებზე, რომლებითაც სახელი განითქვა ჩვენმა ახალგაზდა არმიამ. ჩვენ რად რად უნდა ვუყურებდეთ შურით მეზობელ სახელმწიფოთა მხედრობას, თუ კი ამ გვარი შური გულში არ გაგვიტარებია არც ერთის ბრწყინვალე ეპოქის დროს ჩვენის ისტორიისა.»

◆◆ როშფორის გაზეთმა დაბეჭდა გრძელი წერილი ვინშე ზელიკოვიჩისა, რომელიც სუდანის ინგლისის ჯარში თარჯიმნად იყო. ზელიკოვიჩი ამტკიცებს, რომ 1885 წ. აპრილის 18-ს, ინგლისელ მაიორის ჰიჩნერის დასწრებით, ოლივიე პენი დახერიტეს ერთს უდაბნო ადგილას, აბუდომის მახლობლად. როშფორის გაზეთი იმუქრება, რომ თუ საფრანგეთის მმართებლობა არ მოითხოვს დაკმაყოფილებას — ოლივიე პენის მეგობრები ანგარიშს პირდაპირ უელსის პრინცთან გასწმენდენ. გაზეთი აშკარად ამბობს უელსის პრინცის მოკვლაზე.

◆◆ არაბულს გაზეთებში აღწერილია მაჰდის დამარხვის ცერემონია. იმ წამსვე, როგორც-კი განუტევა სული მაჰომედ-აჰმედმა — ახალი ხალიფი აბდულა მიუახლოვდა ბიძის გვამს, წააძრო თითიდამ ბეჭედი და გასტეხა. დაუყოვნებლივ გაგზავნეს მიკრიკები ომდერმანის ბანაკისაკენ და ხართუმის ქუჩებში გამოცხადებულ იქმნა, რომ მაჰდი გადაესახლა სამოთხეში წინასწარმეტყველთან და თავის ქვეყნის საქმეთა მართვა გადასცა თავის ძმისწულს აბდულას. აუარებელი მართლმორწმუნე მაჰმადიანნი შეგროვდენ მაჰდის გვამის თაყვან-საცემლად. ბულსაზარად სტიროდენ ცოლები და შვილნი მაჰდისა, რომელთაც აღუკრძალეს მიცვალებულის კარავში შესვლა, სადაც მემკვიდრე, აბდულა, იბარებდა ხაზინას და მიცვალებულის ქალაღდებს. ცხედრის მთვლისათვის არჩეულ იქმნენ 70 ემირნი, შეიხნი და დერვიშები, მაგრამ ჯერ თვით ისინი უნდა განბანილიყვნენ ნილოსში. ბინდისას დაიწყო ზარბაზნების სროლა და გამოსცვენეს გვამი. 12 კაცი იცვლებოდა ყოველ 30 ნაბიჯზე და ცხედარი, თეთრის ნილოსისაკენ მიჰქონდათ განსაბანებლად. ქარვიდამ მდინარემდის ორივ მხრით დარაზმული ჯარი იდგა. ბვამს მიჰყვებოდენ: ორი შვილი მაჰდისა, შემდეგ 60 ემირი ამოღებულის ხმლებით და ამათ შუა მშვენიერს ცხენს ანავარდებდა ახალი ხალიფი, აბდულა, თეთრის ტანთსაცმლით შემოსილი, წითელის დოლბანდით და ოქრომკედით ნაქსოვ მოსასხმელით. ჯარი აღტაცებით ეგებებოდა ახალს ხალიფს. პროცესიას უკან მისდევდა ექვსი აქლემი ღარიბთათვის სასმელ-საჭმელით დატვირთული. ბაბანვის შემდეგ, გვამი გაახვიეს მიცვალებულის წამოსასხმელში და წაასვენეს ისევ კარავში, სადაც დაასაფლავეს. შემდეგ თვით კარავი დასწვეს და საფლავზე უნდა აგონ ნიშანი, რომ იქ მარხია მაჰდი მაჰომედ-ახმედი.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“

აგვისტოს 14-ს.

პეტერბურგი. ოფიციალურად გამოცხადებულია რომ დ. ო. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე სამზღვარ გარეთიდამ დაბრუნების შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდს წავა.

კრემზიერში ორთა იმპერატორთა ნახვის გამო „Journal de St-Pétersbourg“-ი იგონებს, რომ ჯერ სკერნევიცაში იმპერატორთა ნახვამდე, რომელსაც განსაკუთრებული ბრწყინვლება მისცა გერმანიის იმპერატორის დასწრებამ, დაგვიმტკიცა სრული ერთსულობა სამთა მოსარქოთ და ეს ერთსულობა სიბუთია საზოგადო მშვიდობიანობისა. იმედი გვაქვსო, — უმატებს ხსენებული გაზეთი, — რომ იმპერატორთა შეერა კრემზიერში უფრო განამტკიცებს მეგობრს კავშირს იმპერატორთა და მათს მმართებლობათა შორის და დიდს ნაყოფსაც მოიტანს. თუმცა გერმანიის იმპერატორი და ამის დიდებული კანცლერი არ ეს. წრებიან კრემზიერში, მაგრამ ეს არ არის იმის ნიშანი, რომ, ვითომც, შესუსტებულიყოს ის გულითადი კეთილი დამოკიდებულება, რომელიც ადბეჭდილია სამთავ იმპერატორთა შორის.

 კრემზიერი. სასახლეში მიბძანებისათანავე მათ იმპერატორობითს დიდებულებათ წარუდგინეს ავსტრიის წარჩინებულნი პირნი და შემდეგ უმაღლეს პირთათვის გაშალეს სუფრა. სუფრაზე საპატიო ადგილი ეჭირათ ორთავ იმპერატრიცას; სრულიად რუსეთის იმპერატრიცის მარჯვნივ ისხდენ: ავსტრიის იმპერატორი, დ. ბ. მარიამ შაგლეს ასული, ერცჰერცოგი კარლ-ლიუდვიგი და დ. თ. გიორგი ალექსანდრეს-ძე; ავსტრიის იმპერატრიცის მარცხნივ ისხდენ: იმპერატორი სრულიად რუსეთისა, ავსტრიის ტასტის მემკვიდრე, მემკვიდრე ცესარევიჩი და დ. თ. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე. სუფრას ამშვენებდა შესანიშნავი ოქრო-ა ნარეული. სადილის დროს ბალში უკრავდა რუსეთის იმპერატორის სახელის შოლეის მუსიკა. სუფრაზე, რომელზედაც ისხდენ რუსეს ამალის გენერლებიც, ერთმა ავსტრიის წარჩინებულთაგანმა წარმოსთქვა რუსის იმპერატორისა და იმპერატრიცას სადღეგრძელო და სამაგიეროდ რუსებმაც დაღიეს ავსტრიის იმპერატორის და იმპერატრიცის სადღეგრძელო. სადამოს რვა საათზე სათეატრო ზალაში დაიწყო წარმოდგენა; იმპერატორსა და იმპერატრიცას წარუდგინეს სასახლის დასის არტისტები. ხვალ, დღის 11 საათზე, უმაღლესნი პირნი გაემგზავრებიან სანადირად და შემდეგ ამისა საუზმე გაიმართება სანადირო სახლში და სადამოს სადილი სასახლეში.

ტემგიადრე ცესარევიჩი დანიშნულია შეუად. ავსტრიის იმ ულანის ბოლკისა, რომლის სიაში იგი ირიცხებოდა.

მადრიდი. აქ მიღებულია ბერლინიდამ ტელეგრამა, რომლიდამაც სჩანს, რომ გერმანიის მმართებლობა დიდს მნიშვნელობას არ აძლევს კაროლინის კუნძულებზე მომხდარს შემთხვევას; ამ გარემოებას არ შეუძლიან რაიმე ვნება მისცეს მეგობრულს დამოკიდებულებას გერმანიისა და ესპანიის შორის; გერმანიის მმართებლობა ირაგის საკუთრებად არა სთვლის ხსენებულს კუნძულებს, იმ დროამდე, სანამ ვისიმე უფლება ამ კუნძულებზე დამტკიცებული არ იქნება.

კრემზიერი. ნადირობა მოხდა სათავადო ტყეში: მოკლულია 41 ნადირი; დიდებულ პირთაგან ნანადირევს ნიშანი ჰქონდა შებმული. — საუზმის დროს შუსიკა უკრავდა. სტატს-სეკრეტარმა გირსმ და გრაფმა კალნოკიმ ნადირობაში მონაწილეობა არ მიიღეს; ამ დროს ამათ კარეულ-ბინაში ბირი ჰქონდათ. ხელმწიფე. იმპერატორმა კარდინალ ფიურსტენბერგს თვისი სურათი უბოძა.

კოპენჰაგენი. დღეს აქ საბერძნეთის მეფე ჩამოვიდა.

ლონდონი. Daily News-ის სიტყვით რუსეთის უკანასკნელი წინადადება სულფიკარის შესახებ თავ და პირველად გაეგზავნა ლორდს დიუფერინს და პოლკოვნიკს რიჯვეის, რომ თავიანთი აზრი წარმოსთქვან ამ საქმეზე.

მოსკოვი. დღეს ჩქარის მატარებელით ჩაიარა მოსკოვში დ. თ. მიხეილ ნიკოლოზის-ძემ, რომელიც კავკასიაში მიემგზავრება.

გუშინ სოკოლნიკში გარდაიცვალა უხუცესი წარმომადგენელი რუსულის სცენისა — ი. ვ. სამარინი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმოკის დაბოლო ფურცლეულ რვინის ფასს და ამის გვარად დაუკლეს სხვა ქარხნის პატრონებმაც. სტროგანოვმა გამოაცხადა ფასი პირველ სორტის რვინაზედ 2 მანათი 40 კაპ; მეორე სორტისაზედ 2 მან. 30 კაპ. ტურჩანინოვისა და გუბინის რვინის ფასი 3 კაპეიკიდამ 5 კაპეიკამდე მოაკლეს. სხვა ქარხნებმაც დაუკლეს ფასებს.

აგვისტოს 15-ს.

პეტერბურგი. «მმართებლობის მოამბეში» გამოცხადებულია: ესტლიანდიის გუბერნატორისაგან მიღებულია ცნობები იმის შესახებ რომ ქალაქის თავი არ ექვემდებარება მთავრობის დადგენილობათა და წინააღმდეგ ამისა არ ხელმძღვანელობს განსაკუთრებით რუსულის ენით, რომ გუბერნიის მთავრობასთან რაიმე მიწერ-მოწერა, ან საქმე აქვს. ამ გვარივე ცნობა მიღებულია ლიფლიანდიის გუბერნატორისაგანაც რიგის ქალაქის თავის შესახებ, რომელმაც უარ-ყო უუმართებულესის სენატის ბრძანება, კანონით დადგენილი და უმაღლესად დამტკიცებული წესი მასზედ, რომ საქმის წარმოება მხოლოდ რუსულს ენაზე ეოფილიყო იმ სასამართლოში, რომლის თავს-მჯდომარედ იყო ეს ქალაქის თავი. ეს საქმე, როგორც სრულებით იშვიათი წარდგენილ იქმნა უმაღლესად განხილვისათვის და ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება განსაკუთრებული ეურადღება მიექცია მასზედ; იმის გამო, რომ რეგელისა და რიგის ქალაქის თავებმა მეტად შეუფერებელი საქციელი და ფრიად უკადრისი სიტყვები იხმარეს ოფიციალურს მიწერ-მოწერაში და თვიანთის მოქმედებით ცხადად კანონის წინააღმდეგ მოიქცნენ, — იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება ებრძანებინა: დათხოვნილ-იქმნენ სამსახურიდამ ხსენებული ქალაქის თავნი გრეიფენჰაგენი და ბიუგნერი და ამის მაუხედველად, კანონიერ განკარგულებათა წინააღმდეგობისათვის, გუ-

ბერნიის მთავრობას ებოძოს ნება გან-კარგულება მოახდინოს ხსენებულ პირ-თა სამართალში მიცემაზე.

კრემზიერი. გუშინ ხელმწიფე იმ-პერატორმა უბოძა ორდენები. ობერ-გოფმეისტერს, თ. ჰოგენლოეს—წმ. ალექსანდრე ნევისა, ორნისა და სე-რენიის—თეთრი არწივისა, მორავიის მთავარ-მმართებელს, გრაფ შენბორნს წმ. ანას 1 ხარ. გრ. კალნოკი ცალ-კე ინახულა იმპერატორმა; სადილის შემდეგ, რომელზედაც ისხდა 69 კაცი, იყო საერთო გრძელი თათბირი. შემ-დეგ იმპერატორი და სხვა უუგგუსტე-სი პირნი გამოესალმენ ავსტრიის იმ-პერატრიცას და წაბრძანდენ გოგზალ-ზე. გოგზალამდის დიდებულნი სტუ-მარნი გააცილეს: ავსტრიის იმპერა-ტორმა, მემკვიდრე პრინცმა რუდოლ-ფმა და ერცჰერცოგმა კარლ ლიუდ-ვიგმა. ავსტრიის წარჩინებულ პირებ-თან გამოთხოვების შემდეგ, უავგუს-ტესნი მოგზაურნი ჩასხდენ მატარე-ბელში, სადაც მოხდა გამოსალმება ავსტრიის უმაღლეს პირებთან. მატა-რებლის დაძვრის წინ ორთავ იმპერა-ტორნი გადაეხვივნენ და სამჯერ აკოც-ნეს ერთმანეთს; ხელმწიფე გრძნობი-ერად გამოესალმა აგრეთვე მემკვიდ-რე პრინც რუდოლფს და ერცჰერცოგ კარლ-ლიუდვიგს.

ვენა. გუშინ მოვიდა აქ თავადი ბოლგარიისა, რომელიც მიდის ავსტ-რიის იმპერატორთან პილსენში მა-ნევრებზე დასასწრებად.

აგვისტოს 16-ს

ხარკოვი. აგვისტოს 15-ს ოფი-ციალურად გაიხსნა უსპენის ბაზრობა; მოვაჭრენი დიდ-ძალი მოგროვდენ, მაგრამ პირობას შემკვრელნი ცოტა-ნი არიან, რადგან სამხრეთ გუბერნი-ებში ცუდი მოსავალი დაიჭირა.

პეტერბურგი. გუშინ დილით მათნი იმპერატორებითი დიდებულებანი გად-მოვიდნენ რუსის საზღვარზე, გაიარეს პოლში და განაგრძეს გზა კიევისა-კენ.

გარეშე საქმეთა მინისტრი ტელეგ-რამით აცნობებს თავის თანაშემწეს გლანგალის, რომ ხელმწიფე იმპერა-ტორი და იმპერატრიცა საუცხოო შთაბეჭდილებით გამოვიდენ კრემზიე-რიდამ იმის გამო, რომ მხიარულად შეეგებნენ მათს დიდებულებათ და იმ სრულის თანხმობის გამოც, რომე-ლიც სუფევდა ორთა იმპერატორთა ნახვის დროს.

კიევი. მზადება მათ იმპერატორე-ბით დიდებულებათა მისაგებებლად გა-თავდა; ქალაქს დღესასწაულებრივი სახე აქვს; გუშინ გენერალ-გუბერნა-ტორი გაემგზავრა მათ დიდებულება-თა მისაგებებლად.

ვენა. ოფიციალური გაზეთი «Weiner Abenpost»-ი გამოსთქვამს იმედს, რომ კრემზიერში ორთა იმპერატორ-თა ნახვა არა თუ განამტკიცებს კე-თილ-განწყობილებას ავსტრიისა და რუსეთის საიმპერატორო სახლთა შო-რის, არამედ მკვიდრს მეგობრობას ჩამოაგდებს ორთავ იმპერიათა შო-რისაც გაზეთი ამტკიცებს, რომ მთე-ლი ევროპა კრემზიერში იმპერატორ-თა ნახვას უყურებს, როგორც ახალს დამტკიცებას საზოგადო მშვიდობია-ნობისას.

ბირჟა

შეტერბურგი აგვისტოს 13.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—	$24^1/_{16}$ $24^3/_{16}$ $24^3/_{32}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—	205 $205^3/_4$ 205
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე	—	—$253^1/_4$ $254^1/_4$ $253^1/_2$
პოლუიმპერიალები	—	8 მ. 22 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები	—	8 მ. 22 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი	—	1 მ. 32 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი—	—	$5^1/_2$ და $6^1/_2$%
5% ბილეთები სახელ-წიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გა-მოცემისა —	—	99 მ. გაყ.
მეორე გამოცემისა	—	98 მ. 37 კ. გაყ.
მესამე გამოცემისა	—	$97^3/_4$ მ. მყ.
მეოთხე გამოც. —	—	$97^1/_2$ მ. მყ.
მეხუთე გამოც. —	—	$97^3/_4$ მ. მყ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	—	97 მ. გაყ.
მეორე გამოც. —	—	97 მ. მყ.
მესამე გამოც. —	—	97 მ. 37 კ. მყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	—	220 მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	—	$212^3/_4$ მ. გაყ.
ოქროს რენტა —	—	$173^1/_4$ მ. გაყ.
თბილისის საადგილ-მა-მულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— —	43 წ. 88 მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამუ-ლო ბანკის გირ. ფურც.		18 წ. 91 მ. გამყ.
		43 წ. 89 მ. გამყ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-ღებული არის მცხოვრებთა შელავათი-სათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შა-ბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბა-თობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 მარიამობისთვიდამ 1 ენ-კენისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუ-სეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირ-ველის ხარისხისა—	—1	გ.	$2^1/_2$
მეორისა — —	—1	გ.	2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომ-ცხვარი:

პირველი ხარისხის	—1	გ.	$4^1/_2$
მეორისა — —	—1	გ.	3 კ.
მესამისა — —	—1	გ.	$2^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში	1	გ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა — —	—1	გ.	3 კ.

მროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1	გ.	6 კ.
მეორისა — —	—1	გ.	5 კ.
სუკი— — —	—1	გ.	13 კ.
ცხვრის ხორცი—	—1	გ.	7 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1	გ.	
მეორისა —	—1	—	გ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.
ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.
ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.
თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

თბილისის გუბერნიის თავად-აზნა-ურთა საზოგადოების შეუძლებელთა მოწაფეთა შემწეობისათვის გამგე კო-მიტეტი აცხადებს, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში წელს გაიხსნა ვაკანსია მოსამზადებელი კლასის მასწავლებლისა ქართული ენისა და სამშობლო გეოგრაფიისა; მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თავიანთ თხოვნით სკოლის კომიტეტს, რომელიც დანიშნავს ღირსეულს გა-მოსაცდელი გაკვეთილის შემდეგ.

(3—1)

აძლევენ
ქირით სადგურს

სადილ ვახშმით და მუსიკით. მდგმუ-რი უეჭველად ქალი უნდა იყოს. «კო-ნიუშენნი» ქუჩა № 8, სახლი თ დი არღუთინსკისა.

(5—1)

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.
Цѣна kор. въ 20 плит. 1 р. 20 k. ½ kор. 70 k.
Перес. kор. 40 k., 2 kор. 60 k. и т. д.

(Ц. 15375.). (50—13)

იყიდება
ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული
ქრისტომატია
უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერი-ლები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპ-რები, გ) საქართველოს ცხოვრები-დამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილე-ბი ჩვენი მწერლების საუკეთესო ნა-წერებიდამ), დ) საქართველოს ისტო-რიიდამ.

წიგნი იყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმა-ტოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი-კი მისი იქნება.

(25—8)

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავ-ლებლის ინსპექტორი აცხადებს

ქუთაისის გუბერნიის და განსაკუთ-რებით მეგრელის თავად-აზნაურთა სა-ცნობლად, რომ 1885 წ. ენკენის-თვისათვის I განყოფილებაში ოც-და-ცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირ-ველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგ-ზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მე-სამისა და მეოთხისათვის განყოფილე-ბათა შესაფერი ეგზემენი უნდა დაი-ჭირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინს-პექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგი-ნონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმო-ბანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამ-ფუძნებელთა შორის ითვლება. სწავ-ლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრე-ბის გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავ-ლებელი მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხროა, ყველას უფ-ლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი შემოიყვანოს.

(10—6)

ყავა მოკკო
ს. სიუ და კო.
(Ц. 2592).
(46—26)